ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 296

“ 19 ” ივნისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „გრანდ თაუერს“ (ს/ნ. 405269891) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებულ „ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „გრანდ თაუერს“ (ს/ნ. 405269891) შორის „ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების 9.2 პუნქტის საფუძველზე, ასევე, შპს „გრანდ თაუერის“ (ს/ნ. 405269891) 2025 წლის 23 მაისის №10/0125143748-61 და ამხანაგობა „მომავლის სახლის“ მიერ 2025 წლის 23 მაისის №22/0125143854-61 განცხადებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „გრანდ თაუერს“ (ს/ნ. 405269891) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებულ „ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 4 ივნისის №25.903.1015 განკარგულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე